ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3094458

ნომერი: AR1477858

თარიღი : 10.02.2017

გაცემის თარიღი : 13.02.2017

გაცნობის თარიღი : 13.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტაბახმელა , სოფელი წავკისი , ნაკვეთი N31ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ფირცხალავა პ/ნ 01017042814
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:

- შპს "საცხოვრებელი კომპლექსი წავკისი" კოდი: 204552180

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 თებერვლის №3091998 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 თებერვლის № AR1477858 განცხადებით მომართა ნიკოლოზ ფირცხალავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 10 თებერვლის №3091998 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 10 თებერვლის №3091998 ბრძანებით დაკმაყოფილდა №AR1475515 ელექტრონული განცხადი და შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ივნისის №221561 ბრძანებაში, კერძოდ ჩანაწერი "ნებართვა ძალაშია „2017 წლის 20 მარტის ჩათვლით“ შეიცვალა ჩანაწერით "ნებართვა ძალაშია 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით". თუმცა, აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, ბრძანებაში ნაცვლად 2018 წლის 20 ივნისისა მითითებულია 2017 წლის 20 მარტი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 თებერვლის №3091998 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 19 ივნისის №221561 ბრძანებაში, კერძოდ, ჩანაწერი "ნებართვა ძალაშია „2017 წლის 20 მარტის ჩათვლით“ შეიცვალოს ჩანაწერით "ნებართვა ძალაშია 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით"“.
სამსახურის 2017 წლის 10 თებერვლის №3091998 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 თებერვლის №3091998 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.